ოქმი:**ო37.37211903**

თარიღი:**09/07/2021**

ოქმი #14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2021წელი, 18 ივნისი

ქ. ოზურგეთი

12^{00} – საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ. ჩაგანავა, ე. გორდელაძე, გ.კილაძე, ბ.დოლიძე, ლ.ბიგვავა, ტ.აროშიძე, თ.გოგუაძე, გ.ჩავლეშვილი.

.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 9, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. სხდომის დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს თავმჯდომარის დ.დარჩიას წინადადებით წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, აწ გარდაცვლილი დ.კვერღელიძის ხსოვნას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0,5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის - სოფელ ოზურგეთში სასმელი წყლისა და შიდა გზების მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პეტიციის განხილვის შედეგების განხილვის შედეგების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის წარდგენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

თამამომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს შექმნილი ეკონომიკური სიტუაციის გამო, სოფელ ოზურგეთში ვერ მოხერხდება პეტიციაში მოთხოვნილი ინფრასტრუტურული პროექტების განხორციელება, მაგრამ მიმდინარეობს მუშაობა საკითხის სამთავრობო დონეზე გადასაწყვეტად, მიმდინარე წელს შესაძლებელია პროექტების მომზადება, რაზეც ეცნობა პეტიციის ავტორს. აღინიშნა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, პეტიციაზე მერიის რეაგირების შედეგებზე უნდა ეცნობოს საკრებულოს სხდომას, რომელზეც მოწვეული იქნება პეტიციის ავტორიც.

2. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ავთანდილ ჩხაიძე

განკარგულების პროექტის ავტორმა ითხოვა დანართში(ნუსხაში) 4-ერთეული მოძრავი ქონების დამატება, რაზეც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ.

განსახილველად დაეწერა დარგობრივ კომისიას(გ.კილაძე).

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული N 1, 2, 3 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. N2 საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს დარგობრივ კომისიას (გ.კილაძე).

3. საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 21 ივნისს დღის 12.00 საათზე საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი